**JEL: F1, F16, H2, H3**

https://doi.org/10.46361/2449-2604.9.3.2022.91-113

***Ramin Tsinaridze[1], Levan Tsetskhladze[2], Saba Kakhidze[3]***

*[1,3]Batumi Shota Rustaveli State University,*
*[2]Ivane Janakhishvili Tbilisi State University*
*Georgia*

# FISCAL EFFECTS OF IMPORT DUTIES AND IMPORT REGULATION

***Aim.*** *The aim of the study is to determine the dependence of the country's economy on imports, the fiscal effect of the budget revenues received from import taxes. Also, to highlight the role of import taxes in the formation of the country's budget, which is quite large, that is good on the one hand, but on the other hand, it is a big problem for the country, because the economic value cannot be created on the ground, through which it will be possible to form the budget and reduce dependence on imports.*

*Imported products entering the country significantly harm local production and hinder its development, because due to low tariffs or taxes, imported products are cheaper compared to locally produced products. Consequently, the population consumes the cheapest products.*

*Therefore, the liberal customs policy chosen and introduced by Georgia significantly harms the country's economy and leaves local production with less chance of development.*

***Methodology/approach.*** *The methodological basis of the paper is the fundamental research of economic science. Georgian or foreign language scientific articles, papers and studies are used in the paper. The material used in the research is based on the data of the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, the State Treasury of Georgia, the Ministry of Economy and Sustainable Development, and the National Statistics Service. Qualitative and statistical methods are used in the research, this research is mainly based on information collection, comparison, study and analysis.*

***Originality/scientific innovation.*** *The originality and scientific innovations of the research can be formulated as follows: the fiscal effect of import duties and the factors affecting domestic production of the country and its indicators are defined. Forms of state regulation in terms of foreign economic activity have been developed, its advantages and disadvantages have been analyzed, directions for optimizing the country's customs policy and import regulation have been substantiated. Based on the analysis of the country's customs and tax policy, mechanisms for improving the tax system are proposed, which provide the expansion of the tax base in parallel with the protection of national business.*

***Practical value / results.*** *The practical implementation of the theoretical conclusions and recommendations formulated in the paper will contribute to the improvement of the theoretical-methodological and practical aspects of the regulation of the country's foreign economic activity and the fiscal effect of import duties, which is a prerequisite for the successful development of local business, the growth of budget revenues and the economic well-being of the country.*

*The final result of the research is the perfection of the calculation of import payments and administration in the budget. Elaboration of recommendations on various factors affecting it when crossing the customs border in order to solve the issues of theory and practice of managing customs processes at the state level, to introduce them into the budget system and to determine the main directions of the country's financial, social and economic planning.*

***Key words:*** *import taxes, budget revenues, import regulation, fiscal effect, protectionism.*

***რამინ ცინარიძე[1], ლევან ცეცხლაძე[2], საბა კახიძე[3]***

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საქართველო*

## იმპორტის გადასახადების ფისკალური ეფექტი და იმპორტის რეგულირება

***მიზანი.*** *კვლევის მიზანია განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება იმპორტზე, იმპორტის გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების ფისკალური ეფექტი, გამოიკვეთოს იმპორტის გადასახადების როლი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში რომელიც საკმაოდ დიდია, რაც ერთის მხრივ კარგია, თუმცა მეორეს მხრივ დიდ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისათვის, რადგან ადგილზე ვერ იქმნება ის ეკონომიკური ღირებულება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის ფორმირება და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება.*

*ქვეყანაში შემოსული იმპორტირებული პროდუქცია მნიშვნელოვნად აზარალებს ადგილობრივ წარმოებას და ხელს უშლის მას განვითარებაში, რადგან დაბალი ტარიფებისა თუ გადასახადების გამო იმპორტირებული პროდუქცია ადგილობრივი წარმოების პროდუქციასთან შედარებით უფრო იაფი გამოდის, შესაბამისად მოსახლეობაც მოიხმარს იმ პროდუქციას, რომლის ფასიც უფრო ნაკლებია.*

*მაშასადამე, საქართველოს მიერ არჩეული და შემოღებული ლიბერალური საბაჟო პოლიტიკა მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ეკონომიკას და ადგილობრივ წარმოებას უტოვებს განვითარების ნაკლებ შანსს.*

***მეთოდოლოგია/მიდგომა.*** *ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს*

*ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტალური გამოკვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და კვლევები, კვლევაში გამოყენებული მასალა ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი და სტატისტიკური მეთოდები, მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შედარებას, შესწავლასა და ანალიზს.*

***ორიგინალობა/სამეცნიერო სიახლე.*** *კვლევის ორიგინალობა და სამეცნიერო სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: განსაზღვრულია იმპორტის გადასახდელების ფისკალური ეფექტი, ქვეყნის შიგა წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები და მისი მაჩვენებლები, შემუშავებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის კუთხით სახელმწიფო რეგულირების ფორმები, გაანალიზებულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, დასაბუთებულია ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის, იმპორტის რეგულირების ოპტიმიზაციის მიმართულებები, შემოთავაზებულია ქვეყნის საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე საგადასახადო სისტემის სრულყოფის მექანიზმები, რომლებიც ეროვნული ბიზნესის დაცულობის პარალელურად უზრუნველყოფენ საგადასახადო ბაზის გაფართოებას.*

***პრაქტიკული ღირებულება / შედეგები.*** *ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებისა და იმპორტის გადასახდელების ფისკალური ეფექტის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას, რაც ადგილობრივი ბიზნესის წარმატებული განვითარების, საბიუჯეტო შემოსულობების ზრდისა და ქვეყნის, ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა.*

*კვლევის საბოლოო შედეგს წარმოადგენს იმპორტის გადასახდელების გაანგარიშებისა და ბიუჯეტში ადმინისტრირების სრულყოფა საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, მასზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებზე რეკომენდაციების დამუშავება სახელმწიფოებრივ დონეზე საბაჟო პროცესების მართვის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გადასაწყვეტად, საბიუჯეტო სისტემაში დანერგვისა და ქვეყნის საფინანსო, სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *იმპორტის გადასახადები, საბიუჯეტო შემოსავლები, იმპორტის რეგულირება, ფისკალური ეფექტი, პროტექციონიზმი.*

**შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა.** გასული საუკუნის მიწურულს საბაჟო პოლიტიკის წარმართვის პროცესში, რეგიონული ინტეგრაციის საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა, რადგან მსოფლიო ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნები, რაც საჭიროებდა ადეკვატურ რეაგირებას. ბუნებრივია, რომ ვერცე-

რთი ქვეყანა, დამოუკიდებლად, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში ვერ შეძლებდა გამკლავებოდა გაზრდილ მოთხოვნას, შესაბამისად მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელმა ქვეყნებმა გააფორმეს მთელი რიგი შეთანხმებები გამარტივებული სავაჭრო რეჟიმების შესახებ. რეგიონული ინტეგრაცია ეხმარება ქვეყნებს ერთმანეთთან დაახლოვებაში და შესაბამისად საჭირო რესურსების „გაცვლაში", რაც თავისთავად ეკონომიკისთვის მასტიმულირებელ ფუნქციას ასრულებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მონაწილეა საქართველოც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში აქტიურად დაიწყო ერთიანი საბაჟო პოლიტიკის დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, რომლის სრულყოფაც დღემდე მიმდინარეობს.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველომ დაიწყო ერთიანი საბაჟო პოლიტიკის ფორმირება და შესაბამისი რეფორმების გატარება, რასაც უნდა უზრუნველეყო სტაბილური საბაჟო სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნულის შესახებ თანამედროვე გამოწვევების ფონზე კვლავ მიმდინარეობს მუშაობა. საბაჟო რეფორმების პარალელურად, ქვეყანამ უარი თქვა ჩაკეტილი ეკონომიკის ქონაზე და ძირითადი ორიენტირი საგარეო ვაჭრობის მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების გაფორმებისაკენ აიღო გეზი, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენ გაგვაჩნია ერთ ერთი ყველაზე ლიბერალური საბაჟო პოლიტიკა, დაბალი გადასახადებითა და ლოიალური სატარიფო თუ არასატარიფო რეგულირების მექანიზმებით. ლიბერალურმა საბაჟო პოლიტიკა კი გამოიწვია ის, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მუდმივად უარყოფითია და იმპორტი გაცილებით აღემატება ექსპორტს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას განვითარების ფართო პერსპექტივას არ უტოვებს.

საქართველოსთანა ქვეყნების ეკონომიკისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და დიდი როლი აქვს სწორ საბაჟო პოლიტიკას, გამომდინარე იქედან, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის ბიუჯეტის შევსების პროცესში და შესაბამისად ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ განვითარებაში.

რეგიონული ინტეგრაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისა და განვითარებისათვის. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს ეროვნული წარმოების და ადგილობრივი ბაზრის დაცვის სხვადასხვა მექანიზმები, რადგან იმპორტზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულება გრძელვადიან პერსპექტივაში არასახარბიელო შედეგების მომტანი იქნება. Covid-19-ის პერიოდში იმპორტზე დამოკიდებულებამ დღის წესრიგში დააყენა ადგილობრივი წარმოების განვითარება.

რეგიონული ინტეგრაციის მომხრეთა აზრით, პროტექციონისტული პოლიტიკა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რადგან დაბალი კონკურენციის გამო პროდუქციის ხარისხი დაბალია, საწარმოთა მფლობელები არ მიისწრაფვიან წარმოების

ტექნოლოგიური გაუმჯობესებისაკენ, ასევე არ აქვთ სურვილი მოიძიონ ახალი ბაზრები, რაც მოსახლეობას იძულებულს ხდის შეიძინოს დაბალი ხარისხის პროდუქცია ხშირ შემთხვევაში მაღალ ფასებში. ჩვენისთანა პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროტექციონიზმის არსებობა, რათა ადგილობრივმა, ეროვნულმა წარმოებამ შეძლოს განვითარება და უცხოური ბაზრების მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნულის მიღწევის ერთ ერთი საშუალება სერტიფიცირების წესების გამკაცრება და სასაქონლო კვოტების შემოღება იქნება. რა თქმა უნდა, მკაცრი პროტექციონიზმის პოლიტიკა ვერ იქნება გრძელვადიანი განვითარების ფარგლებში შედეგის მომტანი, თუმცა ისეთ პროდუქციასა და საქონელზე, რომელთა წარმოების შესაძლებლობა გვაქვს, უნდა მოქმედებდეს სხვადასხვა დაცვის მექანიზმები, რათა შევძლოთ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნულის საშუალებით ადგილობრივი მწარმოებლები უფრო და უფრო გაზრდიან თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად დაიწყებენ უცხოური ბაზრების მოძიებას ან იმ სტანდარტების დაკმაყოფილებას, რომელთაც ითხოვს საერთო ბაზარი-ევროკავშირი და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრები. ეს პოლიტიკა შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში საკმაოდ მტკივნეული იყოს მოსახლეობისათვის, თუმცა გრძელვადიან პერიოდში აუცილებლად მოიტანს დადებით, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ შედეგს.

სამეცნიერო ნაშრომისთვის გამოყენებულია სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ოფიციალური მონაცემები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კვლევები და პერიოდული გამოცემები, ასევე უცხოური პუბლიკაციები იმპორტის გადასახადებთან დაკავშირებით,

რამინ ცინარიძე, ლევან ცეცხლაძე ნაშრომში „საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები პოსტკორონავირუსული რეაბილიტაციის პროცესში“ მიიჩნევს, რომ კორონავირუსით გამოწვეულ ეკონომიკური კრიზისის რეაბილიტაციის პროცესში საბაჟო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს პოსტკრიზისული პოლიტიკის ძირითადი ვექტორების განსაზღვრა, რათა ქვეყანა მინიმალური დანაკარგებით ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესის გლობალურ ჯაჭვში [9, გვ. 6].

გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია სახელმძღვანელოში „საბაჟო საქმის თეორია და პრაქტიკა“ აღნიშნავს რაც უფრო ეკონომიკურად დაწინაურებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში საქონლის აბსოლუტური ფასები და პირიქით, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს დაბალი აბსოლუტური ფასები. აქედან გამომდინარე დაბალფასიანი საქონლის იმპორტისაგან თავდასაცავად განვითარებული ქვეყნები იყენებენ მაღალ სატარიფო ბარიერს (სხვა არასატარიფო ღონისძიებებთან ერთად), ხოლო განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ საერთოდ გააუქმონ საბაჟო გადასახადები და მიმართონ ადგილობრივი წარმოების სუბსიდირებას, რაც გაცილებით ეფექტურია, ვიდრე სატარიფო

ღონისძიება [10, გვ. 228-230].

რამინ ცინარიძე, ლევან ცეცხლაძე ნაშრომში „საბაჟო პოლიტიკა და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე“ აფიქსირებენ, რომ რეგულირების პროცესში აუცილებელია სტრატეგიული საბაჟო-სავაჭრო პოლიტიკის წარმართვის პროცესში სწორი წანამძღვრების არსებობა, რაღა თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური თანამშრომლობის უარყოფითი ფაქტორები და გავამყაროთ ქვეყნებს შორის ურთიერთზემოქმედების დადებითი პროცესები [8, გვ. 11].

ეგნატე შამუგია ნაშრომში „საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები“, აანალიზებს 2007 წელს განხორციელებულ საგადასახადო და საბაჟო რეფორმას და აღნიშნავს, რომ 2020 წელს საქართველო საბაჟო გადასახადის/მოსაკრებლის საშუალო განაკვეთის მიხედვით, მე-6 ადგილზეა. 2007 წლამდე კი - 35-ე ადგილს იკავებდა. [1]

**შედეგები და დისკუსია.** თუკი განვიხილავთ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ფისკალურ ეფექტს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეისათვის საქართველოში არსებობს იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულებაზე დარიცხული გადასახადის სამი სახე, რომლებიც ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა:

- იმპორტის გადასახადი;
- აქციზი;
- დღგ საგარეო ეკონომიკური საქმიანობებიდან.

„საბაჟო ორგანო იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტის, მისი განაკვეთისა და კანონით დადგენილი შეღავათის გათვალისწინებით გაიანგარიშებს გადასახდელი იმპორტის გადასახადის ოდენობას“ [3, გვ. 41].

იმპორტის გადასახადიდან ბიუჯეტში შესულ თანხებს, იგი საგადასახადო შემოსავლების ჭრილში საკმაოდ დაბალი ხვედრითი წილით გამოირჩევა.

***დიაგრამა №1. იმპორტის გადასახადიდან ბიუჯეტში შესული თანხები წლების მიხედვით***




**შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით,** http://treasury.ge/ka/revenues

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, იმპორტის გადასახადიდან ბიუ-ჯეტში შესული თანხები წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:2022 წლის პირ-ველი კვარტალი- 30 141 373,03 მლნ ლარი; 2021-86 361 934,56 მლნ ლარი; 2020-74 369 017,01 მლნ ლარი; 2019 – 79 073 828,06 მლნ ლარი; 2018-73 416 934,00 მლნ ლარი; 2017-71 618 885,92 მლნ ლარი; 2016-70 040 641,12 მლნ ლარი;

როგორც ვხედავთ, 2016 წლიდან 2019 წლამდე იმპორტის გადასახადიდან ბიუ-ჯეტში შესული თანხები იზრდება, თუმცა მცირე ოდენობით. 2017 წელს იმპორტის გა-დასახადიდან ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით 1 578 244,80 მლნ ლარით მეტი აკუ-მულირდა, 2018 წელს -1 798 048,08 მლნ ლარით მეტი, 2019 წელს - 5 656 894,06 მლნ ლა-რით მეტი, ხოლო 2020 წელს განცდილი 4 704 811,05 მლნ ლარიანი კლება გამოწვეულია პანდემიის ზეგავლენით, კრიზისული მდგომარეობით, რომლის დროსაც ორი თვის განმავლობაში გამოცხადებული იყო საყოველთაო კარანტინი და შესაბამისად ქვეყანაში გაჩერებული იყო ეკონომიკური საქმიანობა, რამაც აღნიშნული ვარდნა გამოიწვია, რაც შეეხება 2021 წელს, წინა წელთან შედარებით 11 992 917,55 მლნ ლარით მეტი თანხა მო-ბილიზდა ბიუჯეტში.

აქციზი არაპირდაპირი გადასახადია და ყოველწლიურად ბიუჯეტში აღნიშნუ-ლი გადასახადიდან საკმაოდ სოლიდური თანხები შედის. „აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;

• ახორციელებს ბუნებრივი აირის (აირისებრ მდოგმარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მიწოდებას;

• ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას;

• ახორციელებს თავის მიერ იმპორტირებული, სეს ესნ-ის 2401,1403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას.“ [4, გვ. 108]

*დიაგრამა №2. აქციზის გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები*




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, http://treasury.ge/ka/revenues

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ არ მოვიპოვებთ ნავთობს, შესაბამისად ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გვიწევს საკმაოდ დიდი რაოდენობის საწვავის იმპორტი, შესაბამისად აღნიშნული საქონელიდან ამოღებული აქციზის გადასახადი საკმაოდ დიდია და ბიუჯეტის შევსების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ცნობილია, რომ საქართველოში 1 ტონა ნავთობზე აქციზის გადასახადი შეადგენს 500 ლარს, რომელიც მოქმედებს 2017 წლიდან, მანამდე კი 250 ლარი იყო. 2021 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საწვავის აქციზიდან 543 მილიონი ლარი შევიდა ხოლო საწვავის დღგ-დან დაახლოებით 640 მილიონი ლარი, რაც საერთო ჯამში 1 160 000 000 ლარი გამოდის და იგი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 10 %-ს შეადგენს, რაც შეეხება აქციზიდან მიღებულ მთლიან საგადასახადო შემოსავლებს წლების მიხედვით, იგი დიაგრამა №2-ის სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

*დიაგრამა №3. ადგილობრივი და იმპორტის აქციზის წილი მთლიან აქციზურ შემოსავლებში*




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, http://treasury.ge/ka/revenues

როგორც ვხედავთ, აქციზის გადასახადისგან ბიუჯეტში ყოველწლიურად მილიარდზე მეტი შედის, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქციზის გადასახადიდან ბიუჯეტში შესული ფულადი სახსრები ყოველწლიურად იზრდება, რის მთავარი მიზეზიც თამბაქოს მოხმარების ყოველწლიური ზრდაა. წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2017 წელს ბიუჯეტში იმპორტის აქციზის გადასახადიდან შევიდა 365 701 709,86 მლნ ლარით მეტი წინა წელთან შედარებით, 2018 წელს 36 251 673,08 მლნ ლარით მეტი, 2019 წელს 73 823 448,16 მლნ ლარით მეტი, 2020 წელს 90 996 940,24 მლნ ლარით მეტი, ხოლო 2021 წელს 261 996 021,39 მლნ ლარით მეტი. ხაზგასმას საჭიროებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად პანდემიისა აქციზიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები 2020 წელს არ შემცირებულა და პირიქით, გაიზარდა კიდევაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით, რაც მიუთითებს იმას, რომ ქვეყანაში არ შეჩერებულა ძირითადი საიმპორტო საქონლების/პროდუქციის შემოტანა.იმპორტის აქციზის წილი მთლიან სააქციზო შემოსავლებში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დღგ-ს შემთხვევაში. კერძოდ, იმპორტის აქციზის წილი მთლიან სააქციზო შემოსავლებში 89%-ია, ხოლო ადგილობრივი აქციზის წილი კი 11%. აღნიშნული მეტყველებს, რომ ქვეყანაში ნაკლებად იწარმოება აქციზური საქონელი და მისი უდიდესი წილი იმპორტის მეშვეობით შემოდის ქვეყანაში. აღნიშნული მაჩვენებელი კი წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

*ცხრილი №1. იმპორტის და ადგილობრივი აქციზის წილი მთლიან აქციზურ შემოსავლებში*

| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 I კვარტალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იმპორტის აქციზი** | 82.99% | 86,39% | 87,99% | 90,50% | 89,82% | 91,85% | 89,53% |
| **ადგილობრივი აქციზი** | 17,01% | 13,61% | 12,01% | 9,50% | 10,18% | 8,15% | 10,47% |

**შენიშვნა:** ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1

სააქციზო შემოსავლების ფორმირებაში ძირითადი როლი სამ საქონელს აკისრია, ესენია თამბაქო, ნავთობი და ნავთობ პროდუქტები და მსუბუქი ავტომობილები. 2016-2022 წლების ჭრილში, აღნიშნული სამი საქონლის წილი იმპორტის აქციზში შემდეგ-ნაირად ნაწილდება:

*ცხრილი №2. ძირითადი საქონლის წილი იმპორტის აქციზში*

| საქონელი/წლები | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 I-კვარტალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თამბაქო | 58,42% | 49,44% | 47,63% | 50,56% | 50,70% | 48,44% | 29,44% |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 25,38% | 38,70% | 40,22% | 38,05% | 32,81% | 34,64% | 43,07% |
| ავტომობილები | 12,46% | 8,68% | 9,56% | 8,63% | 9,62% | 10,80% | 15,85% |

*დიაგრამა №4. ძირითადი დასახელების საქონელი, წილი აქციზურ შემოსავლებში*




**შენიშვნა:** ცხრილი და დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1

მონაცემები ცხადყოფს, რომ 2016-2021 წლებში იმპორტირებული თამბაქოდან ამოღებული აქციზი გაცილებით აღემატება დანარჩენი ორი საქონლიდან ამოღებული აქციზის რაოდენობას, რაც ერთის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში გაზრდილია თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი და ამავდროულად აღნიშნული შემოსავლების ზრდა და მეტობა დანარჩენ საქონლებზე განპირობებულია თამბაქოზე ფასების ზრდითაც. რაც შეეხება 2020 წლის პირველი კვარტალის მონაცემებს, აქ ჩანს, რომ ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების იმპორტიდან მიღებული აქციზი 13,63%-ით აღემატება თამბაქოს იმპორტიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც არა საწვავის მოხმარების ზრდის, არამედ მასზე ფასების ზრდის გამოა გამოწვეული.

2020 წელში კი პანდემიის გამო საწვავზე მოთხოვნის კლების შედეგად წინა წელთან შედარებით ნავთობ პროდუქტების იმპორტიდან მიღებული აქციზური შემოსავლები შემცირებულია 5,24%-ით.

**დღგ** არაპირდაპირი გადასახადის ერთ ერთი სახეა და მისი დასაბეგრი განაკვეთი შეადგენს 18%-ს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის პირობებში, საქართველოს მთავრობას აქვს აღებული პასუხისმგებლობა, რომ იმპორტირებული საქონელი დაბეგროს დღგ-ს იმ განაკვეთით, რა განაკვეთითაც იბეგრება ადგილობრივ ბაზარზე წარმოებული პროდუქცია. შესაბამისად საგარეო ეკონომიკური საქმიანობებიდან ამოღებული დღგ-ს წილი საბიუჯეტო შე-

მოსავლებში საკმაოდ მაღალია და იგი ადგილობრივი წარმოებიდან ამოღებულ დღგ-საც კი მნიშვნელოვნად აჭარბებს.

რაც შეხება იმპორტის დღგ-დან მიღებულ საბიუჯეტო შემოსავლებს 2016-2021 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, იგი შემდეგნაირად ნაწილდება:

***დიაგრამა №5. დღგ-დან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტში***




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, https://mof.ge/shesrulebis_angarishi

წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2016-2019 წლებში იმპორტირებული საქონლიდან ბიუჯეტში აკუმულირებული დღგ-ს თანხა იზრდება ყოველწლიურად, კერძოდ, 2017 წელს წინა წელთან შედარებით იმპორტის დღგ-ს საბიუჯეტო შემოსავალი გაიზარდა 533 648 948,34 მლნ ლარით, 2018 წელს 459 759 677,23 მლნ ლარით, 2019 წელს 373 297 323,10 მლნ ლარით, ხოლო 2020 წელს Covid-პანდემიის გამო იმპორტის დღგ-დან მიღებული შემოსავალი შემცირდა 356 380 020,58 მლნ ლარით, 2021 წელს კი მაჩვენებელი ნახტომისებურად იზრდება და ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 967 115 744,82 მლნ ლარი. მართალია, 2020 წელს მოცემულ ჭრილში იმპორტის დღგ-დან მიღებული შემოსავალი შემცირდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კლება არ იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი და მას არ გამოუწვევია რაიმე სახის გადაუჭრელი პრობლემა. წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ იმპორტის დღგ-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების პროცესში.

ამის უკეთ საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ 2016-2022 წლების ჭრილში იმპორტის დღგ-ს წილს მთლიანი დღგ-დან მიღებულ შემოსავლებში:

***დიაგრამა №6. სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-დან მობილიზებული შემოსავლები***




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, http://treasury.ge/ka/revenues

როგორც დიაგრამა №6-დან ჩანს, მოცემული წლების ჭრილში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული დღგ-ს შემოსავლებმა დღგ-ს საერთო შემოსავლებში 72% შეადგინა, ხოლო ადგილობრივი წარმოებიდან და მომსახურებიდან ამოღებულმა დღგ-ს თანხებმა 28% შეადგინა. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოცემულ სტატისტიკას წარმოგიდგენთ წლების მიხედვით:

***ცხრილი №3. იმპორტის და ადგილობრივი დღგ-ს წილი მთლიან კონტიგენტში წლების მიხედვით***

| დღგ/წლები | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 I კვარტალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტის დღგ | 71,10% | 70,10% | 75,70% | 71,10% | 69,60% | 71,90% | 69,60% |
| ადგილობრივი დღგ | 28,30% | 29,90% | 24,30% | 28,90% | 30,40% | 28,10% | 30,40% |

**შენიშვნა:** **დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით,** http://treasury.ge/ka/revenues

*დიაგრამა №7. იმპორტის გადასახადების წილი საგადასახადო შემოსავლებში*




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1

წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2016 წელს საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა 8 786 065 315,88 ლარს ხოლო აქედან იმპორტის გადასახადები იყო 3 314 424 051,60 ლარი და მისი წილი საგადასახადო შემოსავლებში 37,72 %-ს შეადგენს, მომდევნო წელს საგადასახადო შემოსავლები 9 778 948 329,33 ლარია, ხოლო იმპორტის გადასახადებიდან მიღებული თანხები ჯამში 4 125 352 954,60 ლარს შეადგენს და მისი წილი 42,19%-ს შეადგენს. 2018 წელს საგადასახადო შემოსავლები 10 506 316 174,55 ლარია, მასში კი 4 713 162 352,99 ლარის იმპორტის გადასახადებია და მისი წილი 44,-86%-ია. 2019 წელს საგადასახადო შემოსავლები 11 417 838 802,51 ლარია, იმპორტის გადასახადებიდან ამოღებული თანხა კი 5 165 940 018,31 ლარი და მისი წილი 45,24% ია, რაც შეეხება 2020 წელს, პანდემიის გამო საგადასახადო შემოსავლები შემცირდა და შეადგინა 10 964 412 546,38 ლარი ხოლო იმპორტის გადასახადებიდან ამოღებულმა თანხებმა კი 4 895 852 126,92 ლარი იყო, შესაბამისად მისმა წილმა 44,65% შეადგინა. 2021 წელს საგრძნობლად იზრდება საგადასახადო შემოსავლები და 13 379 960 577,61 ლარს შეადგენს, საიდანაც 6 136 956 810,68 ლარი იმპორტის გადასახადებია და მისი წილი 45,57%-ს შეადგენს. 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით საგადასახადო შემოსავლები 5 266 283 059,38 ლარია ხოლო მასში 1 927 071 194,76 ლარის იმპორტის გადასახადებია და შესაბამისად მისი წილი 36,59%-ით განსაზღვრება.

როგორც ვხედავთ, მოცემული წლების შუალედში იმპორტის გადასახადებიდან ბიუჯეტში აკუმულირებული თანხები ყოველწლიურად მზარდია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში წლიდან წლამდე იმპორტის ბრუნვა შემცირების ნაცვლად იზრდ-

ება, რაც გრძელვადიანი პერსპექტივისთვის ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას ვერ იძლევა.

***ცხრილი №4. ქვეყნების საბაჟო გადასახადების/მოსაკრებლების საშუალო განაკვეთების მიხედვით***

| N | ქვეყანა | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰონკოგი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 3 | სინგაპური | 0,20 | 0,20 | 0,20 | 0,20 | 0,00 | 0,00 | 0,02 |
| 6 | საქართველო | 1,50 | 1,50 | 1,50 | 1,50 | 1,50 | 1,50 | 1,45 |
| 7 | ახ. ზელანდია | 2,00 | 2,00 | 2,00 | 2,00 | 2,00 | 2,00 | 1,98 |
| 9 | ავსტრალია | 2,70 | 2,70 | 2,70 | 2,50 | 2,50 | 2,50 | 2,45 |
| 11 | აშშ | 3,40 | 3,40 | 3,50 | 3,50 | 3,50 | 3,40 | 3,45 |
| 12 | ალბანეთი | 3,80 | 3,80 | 3,80 | 3,80 | 3,80 | 3,60 | 3,64 |
| 13 | მონტენეგრო | 4,30 | 4,30 | 4,10 | 4,00 | 3,90 | 3,80 | 3,71 |
| 14 | ისრაელი | 5,70 | 4,60 | 4,60 | 4,50 | 3,90 | 3,90 | 3,91 |
| 15 | კანადა | 4,30 | 4,20 | 4,20 | 4,20 | 4,10 | 4,00 | 4,01 |
| 18 | იაპონია | 4,60 | 4,90 | 4,20 | 4,00 | 4,00 | 4,00 | 4,36 |
| 19 | უკრაინა | 4,50 | 4,50 | 4,50 | 4,50 | 4,50 | 4,50 | 4,51 |
| 25 | ევროკავშირი | 5,50 | 5,50 | 5,30 | 5,10 | 5,20 | 5,10 | 5,23 |
| 27 | მოლდოვა | 4,60 | 4,60 | 4,60 | 5,50 | 5,40 | 5,30 | 5,35 |
| 39 | ყაზახეთი | 9,50 | 9,10 | 8,60 | 7,80 | 6,90 | 6,50 | 6,37 |
| 41 | სომხეთი | 3,50 | 3,50 | 3,70 | 6,10 | 6,20 | 6,00 | 6,50 |
| 43 | ყირგიზეთი | 4,60 | 4,60 | 4,60 | 7,40 | 6,90 | 6,60 | 6,54 |
| 45 | შვეიცარია | 6,50 | 6,80 | 6,70 | 6,70 | 6,30 | 6,40 | 6,61 |
| 46 | ნორვეგია | 8,00 | 7,70 | 7,70 | 6,60 | 6,10 | 6,20 | 6,63 |
| 47 | ჩრ. მაკედონია | 6,90 | 6,80 | 6,90 | 6,80 | 6,80 | 6,70 | 6,69 |
| 48 | რუსეთი | 9,90 | 9,70 | 8,40 | 7,80 | 7,20 | 6,70 | 6,79 |
| 55 | ტაჯიკეთი | 7,80 | 7,80 | 7,70 | 7,60 | 7,60 | 7,70 | 7,69 |
| 72 | ჩინეთი | 9,60 | 9,90 | 9,60 | 9,90 | 9,90 | 9,80 | 9,77 |
| 84 | თურქეთი | 9,60 | 10,80 | 10,70 | 10,80 | 10,90 | 10,90 | 10,73 |

**წყარო:** https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობის გამარტივების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველო იმ პროდუქტებზე, რომლებიც ნაკლებია ჩვენს ქვეყანაში ან საერთოდ ვერ ვაწარმოებთ, ახდენს შიდა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც ერთის მხრივ კარგია, რადგან მომხმარებელს ხელი მიუწვდება საჭირო პროდუქტებსა თუ მომსახურებაზე. ზოგადად, ჩვენისთანა პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, პრიორიტეტი უნდა იყოს ადგილობრივი წარმოების განვითარება და შესაბამისად ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდგომში კი პროდუქციის ექსპორტზე გატანა. თუმცა ჩვენთან არსებული ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი პირიქით ხდება. ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის ქონა ისეთი ქვეყნებისთვის, რომელთა ეკონომიკაც განვითარებულია და განაგრძობს მდგრად განვითარებას მისაღები და ნორმალურია. მაგრამ, ისეთ ქვეყნებისთვის,

როგორიც საქართველოა ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის შემოღება და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმება ისე, რომ იმპორტის გადასახადები უქმდებოდეს და ამავდროულად ტექნიკური ბარიერების გამკაცრება არ ხდებოდეს, რეალურ საფუძველს მოკლებულია.

„მართალია საბაჟო გადასახადი გააძვირებს იმპორტს და შესაბამისად ის სამომხმარებლო ფასში აისახება (საბაჟო გადასახადის ირიბი ბუნებიდან გამომდინარე). მაგრამ ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისაკენ. დაბალი საბაჟო გადასახადი ერთგვარად ასტიმულირებს იმპორტს და მისი გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნების შემთხვევაში ქვეყანას იმპორტდამოკიდებულს ხდის. ამის მთავარი მიზეზი არის სწორედ ის, რომ ჩვენს ქვეყნის ბიზნეს აქტორებს განვითარებული ქვეყნების ბიზნეს აქტორებთან შედარებით საქონლისა და მომსახურების წარმოების დანახარჯები გაცილებით მეტი აქვთ (ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და სხვა) და შესაბამისად სამომხმარებლო ფასთან მიმართებით არაკონკურენტულ მდგომარეობაში იმყოფებიან იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებით.“ [9, გვ.6]

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ადგილობრივი წარმოება იმდენადაა განვითარებული, მათ შორის ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რომ ის არ საჭიროებს განსაკუთრებული ზომების მიღებას ადგილობრივი წარმოების დაცვისათვის უცხოური პროდუქციისგან, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როცა ადგილობრივი წარმოება არ არის არც ტექნოლოგიური თვალსაზრისით დადებითი ტენდენციის მქონე და ამავდროულად არც წარმოების მაღალი და ხარისხიანი მოცულობითი მაჩვენებლებით არ გამოირჩევა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შედარ-ებით მკაცრი საბაჟო პოლიტიკის არსებობა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების იმდაგვარად გაფორმება, რომ იმაზე გაცილებით მეტი სარგებელი მივიღოთ, ვიდრე ახლანდელი მოცემულობით ვიღებთ.

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიხედვით საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, კანადა, ევროკავშირი, თურქეთი, ჩინეთი და სხვა. ეს მეტყველებს, რომ ჩვენ იმპორტის რეგულირების კუთხით ლიბერალური (დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე გადასახედი) საბაჟო პოლიტიკა გაგვაჩნია, რადგან დაბალი საბაჟო „ტვირთის“ გამო უცხო ქვეყნების პროდუქცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ექსპორტი ქვეყნის მიერ გარკვეულწილად სუბსიდირებულია და შესაბამისად ფასებიც დაბალია ადგილობრივი წარმოების ფასებთან შედარებით, მარტივად პოზიციონირებენ საქართველოს ბაზარზე. თუკი გადავხედავთ ბოლო 6 წლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკას, სალდო მუდმივად უარყოფითია (იხ. ცხრილი №5.)

*ცხრილი №5. ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 2016-2022წწ. (აშშ დოლარი)*

| | ექსპორტი | ცვლილება | იმპორტი | ცვლილება | სალდო |
|---|---|---|---|---|---|
| 2022 I კვ. | 1 587 534 600,00 | | 2 812 979 900,00 | | -1 225 445 300,00 |
| 2021 | 4 184 316 900,00 | 841 131 000,00 | 9 994 999 200,00 | 2 764 093 100,00 | -5 810 682 300,00 |
| 2020 | 3 343 185 900,00 | -455 208 400,00 | 7 230 906 100,00 | -2 281 263 816,00 | -3 887 720 200,00 |
| 2019 | 3 798 394 300,00 | 442 682 100,00 | 9 512 169 916,00 | 911 258 278,00 | -5 713 775 616,00 |
| 2018 | 3 355 712 200,00 | 619 933 800,00 | 8 600 911 638,00 | 698 536 738,00 | -5 245 199 438,00 |
| 2017 | 2 735 778 400,00 | 622 641 738,00 | 7 902 374 900,00 | 607 772 500,00 | -5 166 596 500,00 |
| 2016 | 2 113 136 662,00 | | 7 294 602 400,00 | | -5 181 465 738,00 |
| ჯამი | 19 530 524 362,00 | | 50 535 964 154,00 | | -31 005 439 792,00 |

**შენიშვნა:** ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, 2016 წლიდან 2020 წლამდე იმპორტიც და ექსპორტიც ყოველწლიურად იზრდება (ეს დინამიკა შენარჩუნდა მიმდინარე წელსაც), ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ 2017და 2018 წლებში ექსპორტ-იმპორტის ზრდა თითქმის ერთნაირია ხოლო 2019 წლიდან კი იმპორტი გაცილებით უფრო იზრდება ვიდრე ექსპორტი. 2020 წელს კი იმპორტი ორი მილიარდით შემცირდა ხოლო ექსპორტი ოთხასი ათასი ლარით, რაც გამოწვეული იყო Covid-19-ის ზემოქმედებით.

2020 წელი საკმაოდ მძიმე იყო ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, რადგან ფაქტობრივად ყველაფერი გაჩერდა და ეკონომიკის ხელახლა ამოქმედებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რამაც ბევრი ბიზნესის დახურვა გამოიწვია და რომ არა მთავრობის მხრიდან წამოწყებული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა შედეგები უფრო სავალალო იქნებოდა. 2021 წელს კი ექსპორტი მკვეთრად იზრდება და აჭარბებს პანდემიამდელ ნიშნულსაც კი, რაც დადებითი ხასიათის მატარებელია, თუმცა პარალელურად იზრდება იმპორტიც, რაც ერთგვარად ანეიტრალებს ექსპორტის ზრდის მაჩვენებელს. 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით კი - ექსპორტიც და იმპორტიც ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება და დიდი ალბათობით წლის ბოლოსათვის იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლები საგრძნობლად გადააჭარბებს 2021 წლის მონაცემებს. უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ ექსპორტის ზრდის დადებითი დინამიკა რა თქმა უნდა კარგია და მნიშვნელოვანია, თუმცა ზრდის ეს ტემპი ქვეყნის ეკონომიკისთვის საერთოდ არაა საკმარისი, თან ეს იმის ფონზე, რომ ყოველწლიურად იმპორტი უფრო მეტად იზრდება ვიდრე ექსპორტი, ანუ ფაქტობრივად გამოდის, რომ ექსპორტის ზრდის ეს მაჩვენებელი გარკვეულწილად კარგავს აზრს, რაც ნამდვილად არაა პოზიტიური ტენდენცია და საჭიროებს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, რათა აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდეს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2016-2022[1] წლებში საქართველოში ყველაზე მეტი იმპორტი ხორციელდება თურქეთიდან, რუსეთიდან და ჩინეთიდან.

***ცხრილი №6. უმსხვილესი იმპორტიორები 2016-2022 წწ. (აშშ დოლარი)***

| | უმსხვილესი იმპორტიორები (აშშ დოლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თურქეთი | წილი % | რუსეთი | წილი % | ჩინეთი | წილი % | ჯამი |
| 2022 I-IV | 637 782 900,00 | 17,40% | 403 262 200,00 | 11,00% | 324 291 900,00 | 8,80% | 37,20% |
| 2021 I-XI | 1 605 070 100,00 | 17,80% | 789 964 800,00 | 10,30% | 790 367 400,00 | 8,80% | 36,90% |
| 2020 | 1 258 492 900,00 | 17,40% | 926 162 900,00 | 10,90% | 646 666 100,00 | 8,90% | 37,20% |
| 2019 | 1 448 649 100,00 | 17,00% | 868 001 900,00 | 10,20% | 785 298 700,00 | 9,20% | 36,40% |
| 2018 | 1 336 066 100,00 | 16,10% | 859 674 900,00 | 10,30% | 776 940 500,00 | 9,30% | 35,70% |
| 2017 | 1 217 415 000,00 | 17,10% | 698 843 800,00 | 9,80% | 640 542 900,00 | 9,00% | 35,90% |
| 2016 | 1 237 191 500,00 | 18,90% | 599 606 600,00 | 9,20% | 511 175 300,00 | 7,80% | 35,90% |
| **ჯამი** | **8 102 884 700,00** | | **4 742 254 900,00** | | **4 150 990 900,00** | | |

**შენიშვნა:** ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით, https://www.geostat.ge/ka/news

მოცემული მონაცემების თანახმად, 2016-2022[2] წლებში თურქეთიდან განხორციელდა 8 102 884 700 მლნ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რუსეთიდან 4 742 254 900 მლნ დოლარის, ხოლო ჩინეთიდან 4 150 990 900 მლნ დოლარის. მოცემული სამი ქვეყნის წილი იმპორტში 2016 -2022 წლებში, როგორც ვხედავთ 35%-38%-ებს შორის მერყეობს, ხოლო თითოეული მათგანის პროცენტული წილი კი შემდეგნაირად ნაწილდება: თურქეთი17-18 პროცენტის ფარგლებში, რუსეთი 9-11 პროცენტის ფარგლებში ხოლო ჩინეთი7-9,30 პროცენტის ფარგლებში.

რაც შეეხება იმპორტის ზრდის დინამიკას, 2016-2019 წლებში ყველა ქვეყნიდან იზრდება იმპორტი, ხოლო 2020 წელს კი პანდემიის გამო მცირდება, თუმცა რუსეთიდან იმპორტი 2020 წელს კლების მაგივრად იზრდება, 2021 წელში კი - იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან შემცირდა და მისმა წილმა მთლიან იმპორტში 10,30 % შეადგინა, კლება წინ წელთან შედარებით იყო 0,6 %. 2021 წელს თურქეთიდან და ჩინეთიდან იმპორტი იზრდება, რაც შეეხება 2022 წლის პირველ კვარტალს, დინამიკა მზარდია.

საინტერესოა, თუ რის იმპორტს ვახორციელებთ მოცემული ქვეყნებიდან. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებიდან ვყიდულობთ შემდეგი დასახელების პროდუქციასა თუ საქონელს: 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, მსუბუქი ავტომობილები 21 309 100 აშშ

[1] შენიშვნა: 2022 წლის მხოლოდ პირველი კვარტალის მონაცემებია.

[2] შენიშვნა: 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებია.

დოლარი (701 ტონა), სამკურნალო საშუალებები 19 165 500 აშშ დოლარი (290,7 ტონა), მზა ნაწარმი სხვა, ტანსაცმლის თარგების ჩათვლით 16 926 600 (896,9 ტონა) აშშ დოლარი, შავი ლითონის მილები, მილაკები და ღრუ პროფილები 14 970 300 (13 264,1 ტონა) აშშ დოლარი, შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები 14 585 900 აშშ დოლარი (6869,7 ტონა). 2021 წლის მონაცემების მიხედვით, ავტომობილები 63 716 200 აშშ დოლარი (1022 ტონა), შავი ლითონის მილები, მილაკები და ღრუ პროფილები 45 015 500 აშშ დოლარი (43 423,9 ტონა), 42 023 800 აშშ დოლარი ( 2 083,2 ტონა), სამკურნალო საშუალებები 40 142 400 აშშ დოლარი (419,7 ტონა), შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები დ მათი ნაწილები 35 258 700 აშშ დოლარი ( 18 578 ტონა).

რაც შეეხება საქართველოდან ექსპორტის დინამიკას, ტენდენცია აქაც მზარდია. ცხრილი №7-ის მონაცემებიდან ჩანს, 2016 წელს ყველაზე მეტი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში, რომელთა პროცენტულმა წილმა მთლიან ექსპორტში შეადგინა 24,8%, უფრო კონკრეტულად კი ქვეყნის რიგითობა შემდეგია: რუსეთი, 182 489 800 აშშ დოლარი 9,5%-იანი წილით, თურქეთი 163 688 000 აშშ დოლარი 8,5%-იანი წილით, აზერბაიჯანი 130 533 000 აშშ დოლარი 6,8%-იანი წილით. 2017 წელს საექსპორტო სამეულს შეადგენს რუსეთი, თურქეთი და ჩინეთი, რომელთა ჯამური წილი მთლიან ექსპორტში არის 30,50%, უფრო კონკრეტულად კი, ქვეყნების რიგითობა შემდეგნაირად ნაწილდება: რუსეთი 355 187 000 აშშ დოლარი 14,60%-იანი წილით, თურქეთი 194 601 100 აშშ დოლარი 8%-იანი წილით და ჩინეთი 193 767 400 აშშ დოლარი 7,90%-იანი წილით.

საქართველოს ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება და ძირითადი საექსპორტო სამეული სწორედ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ქვეყნების კომპლექტდება, 2016-2021 წლების მიხედვით ექსპორტის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 3,46% შეადგინა, რაც საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელია და არ არის საკმარისი ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის აღმოსაფხვრელად.

*ცხრილი №7. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები (აშშ დოლარი)*

| | უმსხვოლესი ექსპორტიორები 2017-2022 (აშშ დოლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | ჩინეთი/სომხეთი/ თურქეთი | წილი% | რუსეთი | წილი % | აზეირბაიჯანი/ ჩინეთი | წილი % | ჯამი |
| 2022 I კვ | 290 400 000 | 18,30% | 156 443 400 | 9,90% | 168 394 600 | 10,60% | 38,80% |
| 2021 | 569 107 400 | 14,90% | 549 134 200 | 14,40% | 488 292 600 | 12,80% | 42,10% |
| 2020 | 445 885 200 | 14,80% | 396 572 400 | 13,10% | 399 623 200 | 13,20% | 41,10% |
| 2019 | 353 866 300 სომ. | 10,50% | 453 997 100 | 13,40% | 444 618 200 | 13,10% | 37,00% |
| 2018 | 259 989 800 სომ | 8,60% | 393 584 800 | 13,0% | 435 846 00 | 14,40% | 36,00% |
| 2017 | 194 601 100 თურ | 8,0% | 355 187 000 | 14,60% | 193 767 400 ჩინ. | 7,90% | 30,50% |
| 2016 | 163 688 000 თურ | 8,5% | 182 489 800 | 9,50% | 130 533 000 | 6,80% | 24,80% |
| ჯამი | 1 305 392 600 | | 2 487 408 700 | | 1 631 461 600 | | |

**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით, https://www.geostat.ge/ka/news

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემდეგ ჩინეთში ექსპორტი მინიმალური ოდენობით, თუმცა მაინც მზარდია. აუცილებელია, რომ ჩინეთის ბაზრის ათვისება მოხდეს სრულად და გაიზარდოს ექსპორტი მაქსიმალურად, რადგან აღნიშნული ბაზარი ძალიან დიდი შესაძლებლობაა ჩვენი ქვეყნისთვის და საჭიროებს მაქსიმალურ გამოყენებას, ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში არსებული ექსპორტის სტიმულირების პროგრამების კიდევ უფრო გაზრდა და თავისთავად ადგილობრივი წარმოების მაქსიმალური მხარდაჭერა ყველა დონეზე, რათა გაიზარდოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელიც და თავისთავად ექსპორტის შესაძლებლობაც.

**დასკვნები.** საქართველოს მიერ არჩეული ლიბერალური საბაჟო კურსი ქვეყნისთვის მეტად საზიანო და ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანია. მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმპორტზე, რთულია რაიმე სახის განვითარებაზე საუბარი. ლოგიკურია ის ფაქტი, რომ იმპორტზე დამოკიდებულების პირობებში ქვეყნის ბიუჯეტში იმპორტის გადასახადებიდან (იმპორტის გადასახადი, დღგ და აქციზი საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან) მიღებული თანხების წილი - ფისკალური ეფექტი, საკმაოდ დიდია, რასაც მოწმობს ჩვენს მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები დინამიკაში და მათი ანალიზი. მაშინ როდესაც ქვეყნის საგადასახადო შემოსავლებში მეტია ირიბი გადასახადების როლი, იმპორტ-ექსპორტის სალდო უარყოფითია, და იმპორტის გადასახადებიდან ბიუჯეტში შესული თანხები ყოველწლიურად იზრდება (კვლევის მიხედვით, პერიოდი - 2016-2021 წლები), ფისკალური ეფექტის კუთხით, ეს პოლიტიკა მისაღებია. ერთის მხრივ, ბიუჯეტის შევსების მხრივ იმპორტის გადასახადებიდან ამოღებული თანხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რათა

შემდგომში სახელმწიფომ შეძლოს მასზე დაკისრებული მოვალეობების და ვალდებულებების შესრულება. თუმცა მეორე მხრივ, როდესაც სახელმწიფოს ბიუჯეტის დიდი ნაწილის შევსება იმპორტის ხარჯზე უწევს ეს მოსახლეობისთვის და თავისთავად ქვეყნის ეკონომიკისთვისაც არ არის კარგი, რადგან ქვეყანაში ვერ იქმნება საკმარისი ეკონომიკური ღირებულება და ამავდროულად იმპორტის გამო ქვეყნის ეკონომიკაში უფრო ნაკლები თანხა რჩება, რაც მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას ვერ ზრდის.

საქართველოს 48 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ამ ქვეყნების უმრავლესობა არის განვითარებული ან ბევრად უფრო სწრაფად განვითარებადი ქვეყანა, ვიდრე საქართველო. შესაბამისად ამ ქვეყნებს გააჩნიათ ძლიერი ადგილობრივი ბაზრები, რომლის მოთხოვნაც კმაყოფილდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციითა და მომსახურებით, შესაბამისად ჩვენი ქვეყნიდან ექსპორტირებული საქონელი კონკურენციაში შედის მაღალ განვითარებული ქვეყნის ბაზრის პროდუქციასთან, რომელიც არის უფრო ხარისხიანი და შესაბამისად ადგილობრივი მოსახელობისთვისაც უფრო მისაღები.

თანაც, საქართველოდან ვერ ხერხდება საკმაოდ დიდი პროდუქციის ექსპორტი, რადგან ხშირ შემთხვევაში ჩვენთან წარმოებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს უცხოური ქვეყნის ბაზრის სტანდარტებსა და სხვადასხვა მოთხოვნებს (მიუხედავად ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა, არ გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტი). ყოველივე აღნიშნული შემდეგ კი ლოგიკურია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, როდესაც ჩვენ ვერ გაგვაქვს საჭირო რაოდენობის და ღირებულების საქონელი უცხოურ ბაზარზე, უცხოური ბაზრიდან შემოდის არა განსაზღვრული, არამედ განუსაზღვრელი რაოდენობის საქონელი, შესაბამისად ჩვენი ქვეყნის ბაზარი გაჯერებულია უცხოური წარმოების საქონელით, რომელიც მნიშვნელოვნად „ჩაგრავს“ ქართული წარმოების საქონელსა თუ პროდუქციას. შესაბამისად, საჭიროა შეიცვალოს ქვეყნის მიდგომა და ლიბერალური საბაჟო პოლიტიკიდან გადავიდეთ შედარებით მკაცრ იმპორტის შემზღუდავ პოლიტიკაზე (განსაკუთრებით არასატარიფო რეგულირების ნაწილში), რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება ქვეყნებიდან იმპორტის მოცულობები (რაოდენობრივი შეზღუდვა), რაც შესაბამისად ადგილობრივი წარმოებისათვის გააჩენს ახალ შესაძლებლობებს და შესაბამისად მოხდება როგორც ადგილობრივი ბაზრის ათვისება, ასევე სამამულო პროდუქციის ექსპორტზე გატანაც.

იმპორტის შემცირების ერთ-ერთ გზად აუცილებელი ხდება ადგილობრივი მწარმოებლების დახმარება, ექსპორტის სუბსიდირება, მაღალტექნოლოგიური დარგების წახალისება ძირითადი საშუალებების თანადაფინანსებით, საგადასახადო გამოქვითვებში დაჩქარებული ამორტიზაციის აღიარების საკანონმდებლო ცვლილება. ამავდროულად განსაკუთრებული რესურსი უნდა ჩაიდოს განათლებაშიც, რათა მოხდეს

მეცნიერების წინსვლა, რაც შესაძლებლობას მისცემს ჩვენისთანა პატარა ქვეყანას, შეზღუდული და მცირე რესურსების პირობებში, მნიშვნელოვნად გაზარდოს ადგილობრივი წარმოება და შესაბამისად დააკმაყოფილოს როგორც სამამულო, ისე უცხოური ბაზრების მოთხოვნებიც.

მაშასადამე, რეალური განვითარება, მაღალი ეკონომიკური ზრდა და ამავდროულად მოსახლეობის კეთილდღეობა ამაღლება იმპორტზე დამოკიდებულების მნიშვნელოვნად შემცირებაშია, უნდა გაიზარდოს ადგილობრივი წარმოება, ასევე ექსპორტიც, რაც რეალურად შეუწყობს ხელს ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. იმპორტზე დამოკიდებულების პირობებში მიღწეული ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდა ვერ იქნება რეალური შედეგების მომტანი, ამიტომ დღევანდელი მოცემულობით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან წინმსწრებად ფისკალური ეფექტის შექნა რჩება.

**ლიტერატურა:**

[1] https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105 საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები - მიმოხილვა. (2020).

[2] https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1 საქართველოს შემოსავლების სამსახური, წლიური ანგარიშები. (2015-2021).

[3] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს საბაჟო კოდექსი. (2019). 1-126.

[4] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2010). 1-198.

[5] https://mof.ge/shesrulebis_angarishi საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. (2016-2021).

[6] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური, საქონლით საგარეო ვაჭრობა 2016-2022.

[7] https://treasury.ge/ka/StateBudgetReports საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება. (2016-2021).

[8] ცინარიძე, რ. & ცეცხლაძე, ლ. (2017). საბაჟო პოლიტიკა და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მეორე საერთაშორისო კონფერენცია თანამედროვე განვითარების სამერთლებრივი და სოციალური პრობლემები - 2017, ქუთაისი, 1-14.

[9] Tsinaridze, R., & Tsetskhladze, L. (2020). The major vectors of Georgia's customs policy in the post-coronavirus rehabilitation process. Ecoforum, 9(3), 1-8.

[10] ურიდია, გ. & რუხაია, ფ. (2009). საბაჟო საქმის თეორია. 1-392.

## References

[1] Georgia and free trade agreements - an overview (2020). Business Media Georgia. *Available at: https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105* .

[2] Georgia Revenue Service. *Annual accounts 2015-2021.* Available at: *https://www.rs.ge/AboutUs-en?cat=5&tab=1* .

[3] Legislative Herald of Georgia. Tax Code of Georgia. (2010). Available at: *https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=186* .

[4] Legislative Herald of Georgia. Customs Code of Georgia. (2019). Available at: *https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5* .

[5] Ministry of Finance of Georgia. *Report on Budget Performance 2016-2021*. Available at: *https://mof.ge/shesrulebis_angarishi* .

[6] State Statistics Service of Georgia. *External Merchandise Trade 2016-2022.* Available at: *https://www.geostat.ge/en/modules/categories/765/external-merchandise-trade* .

[7] State Treasure of Georgia. *State budget performance report 2016-2021.* Available at: *https://treasury.ge/en/StateBudgetReports* .

[8] Tsinaridze, R., & Tsetskhladze, L. (2017). Georgian Custom Policy and Its Influence on the Country's Economy. *2rd International Conference Economic, Legal and Social Problems of Modern Development – 2017,* Kutaisi, Available at: *https://ejournals.atsu.ge/BLSS2017/eJournal/Papers/TsinaridzeRamini.pdf* .

[9] Tsinaridze, R., & Tsetskhladze, L. (2020). The major vectors of Georgia's customs policy in the post-coronavirus rehabilitation process. *Ecoforum,* 9(3), 1-8. Available at: *http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1135* .

[10] Uridia, G., & Rukhaia, F. (2009). *Theory of the customs case* . Tbilisi.

**Citation:**

Tsinaridze, R., Tsetskhladze, L., Kakhidze, s., (2022) Fiscal Effects of Import Duties And Import Regulation. *Innovative Economics and Management: International Scientific Journal, 9(3), 91-113*